ᲡᲐᲙᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ, ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲜᲐᲮᲐᲢᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲧᲝᲚᲔᲚ ᲙᲕᲘᲠᲐ ᲓᲦᲔᲡ

№ 32 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ 8 1899 წ. № 32

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: კერძო საკუთრების გარშემო (წერილი III) ი. კაკაბაძისა.—ნაფიც მსაჯულთა სამართალი ნ. ელიავასი.—სხვა და-სხვა ამბები.—„კვალის“ კორესპონდენციები.—ჩემი შთაბეჭდილებანი სილიონისა.—ოცნება ლექსი კ. გოგოლაძისა.—ხალხის გულის მესაიდუმლე (შემდეგი) ივ. გომართელისა.—მტერი და მეგობარი (ტერგენევიდან).—წერილი ციმბირიდან ი ზ—ძისა.—შეცდომის გასწორება და ქუთაისის ბანკ-ს განცხადება.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲐᲓᲠᲔᲡᲘ: არტილერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც წინეთ რედაქცია იმყოფებოდა.

კერძო საკუთრების გარშემო.

III

ომაელი შეუდარებელი მჭევრმეტყველი ციცერონი (106-43 ქრ. შობ. წინ.) შემდეგ ნაირათ ახასიათებს თავის ეპოქას: „რა პატიოსნება შეიძლება, რომ დუქნიდან დაიბადოს?—ან რა პატიოსნებას უნდა ველოდეთ ვაჭრობისაგან?—რასაც კი სავაჭრო ჰქვია ყოველი პატიოსანი კაცის გამსერელია, რადგანაც, ვაჭრებს სხვის მოუტყუებლათ არაფრის მოგება არ შეუძლიათ, და რა უნდა იყოს ტყუილზე უფრო სასირცხო?!.“

ამ სიტყვებით ნათლათ ასურათებს ციცერონი თავის დროის ზნეობრივ შეგნებას და მაშინდელ მრეწველობა-ვაჭრობის განუვითარებლობას. ამნაირათვე სჯიდა ჩვენი ბრწყინვალე წოდებაც. მას სასირცხოთ მიაჩნდა ვაჭრობა, და ვინც კი ვაჭრობდა „ურიაა“ ან „სომეხიაო“ გულის მოსაფხანათ იტყოდა..ეს სიტყვები ცხადათ გვიმტკიცებენ, რომ მაშინდელი საქართველო მრეწველობა-ვაჭრობის მხრით განვითარებული ან არ იყო, ან და ვაჭრობა სოციალურათ უღირსთა ხელში ტრიალობდა; მაგრამ დრონი იცვალენ.—

საკუთრების ახალმა ფორმამ უფრო და უფრო მიიზიდა ხალხი, მის შესაძენათ თანდათან აფაცურდა იგი, და ნელ-ნელა ჩვენი ბრწყინვალე წოდების და რომაელი ორატორის სიტყვებიც საისტორიო არხივს მიეცენ.

გეოგრაფიული მდებარეობა, ხალხის სიმრავლე, და ბუნებისაგან მიწოდებული მასალები შეიქნენ პირველ ხელის წამკვრელ მიზეზათ, რომ ევროპის ხალხი ბუნების კანონების კვლევა-ძიებას სხვაზე ადრე შეუდგა. ახალი მოთხოვნილებების გაჩენა ევროპიელს წინ სვლას თხოვდა;—ისიც მიდის წინ; რის გამოც აქ სხვა ქვეყნებზე უფრო ადრე მწიფდება ცხოვრება. გამოცდილება-მეცნიერებამ გაანაყოფიერა მათი შრომა, ფერი უცვალა მათ ეკონომიურ მდგომარეობას, და ფეოდალური წყობილების მაგივრათ იმისთვის საჭირო შეიქნა სხვა უფრო ახალი,

ხელ-მისაცემი წეს-წყობილება, რომელშიაც პიროვნებას და მრეწველობა-ვაჭრობას უფრო თავისუფალი ასპარეზი დაურჩებოდა. ამიტომ უფრო მომწიფებულ საფრანგეთის ცხოვრებიდან ამოცურდა ფეოდალური წყობილების მოწინააღმდეგე პრინციპი: „ადამიანები თავის დაბადებით და მოქალაქობით კანონის წინაშე თანასწორი არიანო“. ეს დევიზი წინ წაიმძღვარა ბურჟუაზ-ამ 1789 წელს რევოლიუციის დროს და ძველი პრივილეგია—საფეხურები მთლათ ძირიანათ დააქციაქედან იწყება განახლების ქარის ბერვა, რომელიც სხვა ქვეყნებსაც იწვევს მის კვალზე გამოსასვლელათ. ასეც მოხდა. ადრე თუ გვიან სხვა ქვეყნებშიაც შეეიდა ასეთი ბურჟუაზული დევიზი, რომელიც ხევს ძველ პოლიტიკურ ბადეს, რის შემდეგ იცვლება ურთიერთ შორის დამოკიდებულება. ამნაირათ, მთელ ქვეყანაზე მოეფინა და საზოგადო შეიქნა თანამედროვე ცივილიზაცია. ქართველებიც იქ ვართ. ახლა დადგა დრო საზოგადოთ მრეწველობა—ვაჭრობის ხელის შემწყობი, დრო ბურჟუაზულ წეს-წყობილებისა.

XIX საუკ. მრეწველობა თავის სწორ გზას დაადგა და აჩქარებით იზრდება, რომელსაც თავის საკუთარი ორ გვარი ისტორია აქვს: პირველია მისი ტეხნიკური მხრივ განვითარება-გაუმჯობესება; მეორე კი მისი სხვა და სხვა ქვეყნებში ადრე თუ გვიან გავრცელება (რუსეთი, შეერთებული შტატები, ჰუნგრეთი და სხვ.. ამ 25—30 წ. წინათ უფრო მიწის შემუშავებას მისდევდენ). ამან ვამოიწვია სწრაფი და შესანიშნავი ცვლილება სხვა დანარჩენ წარმოებაშიაც: რკინის, ფოლადის, სართავ-საქსოვი მაშინების, ტყავის ქარხნების, ქაღალდის და სხვა ძველ წარმოებათა სახე გაუმჯობესდა. მაგრამ ყველანაირ წარმოებაში გიგანტური ნაბიჯი გადადგეს წინ, როცა აღმოჩენილ იქმნა ორთქლის და ელექტრონის მეტათ სასარგებლო თვისებები. ამასთანავე, ახლად შამოღებულ იქმნა: წუმწუმა, შაქარი, გაზი, ნავთი, კაუჩუკი, ფოტოგრაფია, საღებავები და სხვ... ტილოებისა და ქარის ძალით მოსარულე გემების ნაცვლათ შემოღებულ იქმნა ორთქლით მავალი გემები, რომელმაც 3—4 ჯერ შეამცირა ზღვაზე მისვლა-მოსვლის დრო. დილიჟნების, ფურგუნების და ურმების მაგიერათ გავრცელდა რკინის გზები, რომელმაც 8—10 ჯერ შეამცირა საქონლის გადასატანი და მოგზაურობის დრო. ამანვე მისცა კაცს საშუალება სწრაფათ ფოსტის გადატან-გადმოტანაში, რომელიც დღეს ყველა კულტურულ ხალხს ერთმანეთს უკავშირებს. 1850 წ. ელექტრონის საშუალებით ტელეგრამები გააბეს, რომლითაც კიდევ უფრო სწრაფი შეიქნა ამბის შეტყობა, ამიტომ კიდევ უფრო დაუახლოვდენ სხვა და სხვა ხალხი ერთმანეთს.

ამნაირათ იურიდიულათ პიროვნების განთავისუფლებას მოჰყვა ფეოდალური ბრჭყალებიდან შრომის განთავისუფლება, ტეხნიკური წარმატება, ორთქლის და ელექტრონის წარმოებაში გამოყენება, მრეწველობა-ვაჭრობის თავისუფლება და ზღვით და ხმელეთით სხვა და სხვა ხალხის დამაახლოვებელი საშუალება—ეზები შეიქნენ თანამედროვე ბურჟუაზულ დროის გვირგვინათ. ამან აამოქმედა მთელი ხალხი, დაუახლოვა ერთმანეთს. ახლა ერთი კიდიდან მეორეზე უნახავათაც კი პირობას ჰკრავენ, საქონელს ცვლიან. ამით ბურჟუაზიამ მიაღწია თავის მიზანს, შეადგინა თავის სათაყვანებელი კონსტიტუცია.

აი, ამ გამრავალფერებულ საკუთრების გარშემო მოიყარეს თავი სხვა და სხვა საზოგადო კლასებმა, რათა ამ საერთო სიმდიდრიდან ერთმაც და მეორემაც, რაც შეიძლება მეტი გაიტანოს. წარმოდგა ბიუროკრატია, რომელიც ბიუროებიდან იძლევა განკარგულებას, ვითომ და ხალხში მოცვეთილ ურთიერთობას აახლებს, აწესიერებს, მაგრამ უფრო საკუთრების უპირატესობას იცავს და ამისთვის ერთი დიდი წილი მას მიაქვს.—წარმოდგა შინ ან გარედან მოწოლილ მტრის დასახვედრათ მეომართა მუდმივი რაზმი, რომელიც კერძო საკუთრების უპირატესობას იარაღით იცავს, ამისთვის მასაც მიაქვს.—წარმოდგა სამღვდელოება, რომელიც ერთმანეთის მიმართ სიყვარულს და კაცთა შორის სათნოებას ჰქადაგებს,—მასაც მიაქვს.—წარმოდგა ფულის და მიწის მფლობელი არისტოკრატია, რომელიც მუდამ განცხრომაშია,—მასაც მიაქვს.—წარმოდგა საზოგადოთ ინტელიგენცია, რომელსაც თავის გონებრივი მუშაობისთვის მიაქვს.—წარმოდგა (წოდების განურჩევლათ) ბურჟუაზია, რომელიც დაეპატრონა მრეწველობა-ვაჭრობას, ხელში ჩაიგდო ყოველგვარი საწარმოო იარაღი, (როგორიცაა მიწა-წყალი, რკინის გზები, მადნები, ქარხნები, გემები, მაშინები და სხვ.) საქონლის აღებ მიცემობაშია, მიდის-მოდის, და ამას ხომ მიაქვს და მიაქვს! ახლა ერთი უკან მივიხედოთ, თვალი გადავაველოთ აქ ჩამოთვლილ კლასებს თუ ვინრას მატებს ხალხის ნაწარმოებ ნივთიერება-სიმდიდრეს! ხომ არავინ არაფერს?! მაშ, ახლა წარმოვიდგინოთ ის მშრომელთა კლასი, რომელმაც შექნა თავის შრომით და ოფლით ეს აუარებელი ნივთიერება-სიმდიდრე! წარმოვიდგინოთ აგრეთვე თუ მას თითონ რა წილი უდევს ამ საერთო სიმდიდრეში. ხომ ძალ-ან ცოტა!? აი ამას ჰქვია თანამედროვე ბურჟუაზული ხანა..

ცხადია, ბურჟუაზული კანონმდებლობა თანამედროვე საკუთრების უპირატესობას იცავს. ის იცავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ როტშილდების და სხ... ხელში მილიონები თავს იყრიდეს, ოქრო-ვერცხლის ზვინები დგებოდეს, მაგრამ იგი ვერ ურიგდება თვით სიმდიდრის გაჩენის გამოაშკარავებას. მას არ სურს გამოირკვეს ერთი მხრით სიმდიდრის შეგროვების მიზეზი. მას სურს სულ ასე მიდიოდეს — „Laisser faire, laisser passer". ამიტომ ის თანამედროვე ბურჟუაზიის ხელში ურმის ღერძზე წასასამელი ზეთის მაგვარია, რის შემდეგაც ჭრიჭინი ჩამდება.

კერძო საკუთრების გაელენას ყოველგან ვპოულობთ, რომლის დასასურათებლათაც აქ რამდენიმე ტიპიურ მაგალითს მოვიყვანთ: როცა ერეკლე II-რე კრწანისის ველზე მტრებს ეომებოდა, თავის ჯარის შესუსტება იგრძნო და თავის შვილს, გიორგის, ჯარით დახმარება თხოვა, მაგრამ უკანასკნელი თავის მხლებლებით ფიქრობდა: მამას მტერი დაამარცხებს და მე საქართველოში გავმეფდებიო. და კარგათ მოგეხსენებათ, რომ გამეფება იმავე დროს მიწა-წყალზე დაპატრონებას ნიშნავდა. ამ გვარი მაგალითები უთვალავია. აი კიდევ: თვით უგულო ბისმარკმა, რომლის დევიზიც „რკინა და სისხლი" იყო 1879 წ. რეიხტაგში თქვა: „იმიტომ — რომ ევროპის პოლიტიკაში მიუდგომელათ მემოქმედა, საჭიროთ დავინახე ყველა უცხო ქვეყნის საზოგადოებათა აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, რაც კი მქონდა უკანვე დამებრუნებია, რის შემდეგაც უფრო თავისუფლათ შემიძლია დიპლომატიაში მოქმედებაო". ძლიერი ნაპოლეონიც საკუთრების მოპოვებას უქადდა სალდათებს, როცა მათი ენერგია და თვით-განწირულება მისთვის საჭირო იყო: „სალდათებო, თქვენ შიშველი ხართ, ცუდათ იკვებებით, მთავრობა ბევრშია ვალდებული და ვერაფერს ვერ გაძლევთ. მე წაგიყვანთ თქვენ ნაყოფიერ მინდვრებზე. გაშლილი პროვინციები, დიდი ქალაქები თქვენ ხელში იქნება, თქვენ იქ იპოვით პატივს, დიდებას და სიმდიდრეს". აი რა ძლიერი შეიქნა საკუთრება, და როგორ გაიტაცა თავისკენ ყველაფერი! მისკენ მიილტვის დიდი და პატარა, მდიდარი და ღარიბიც, რისთვისაც საშინელი კლასსიური ბრძოლა წარმოდგა, რომელიც არ ასვენებს არც მდიდარს და არც ღარიბს. მდიდარი თავის სიმდიდრეში ჩაფლული ეძებს მოსვენებას, განცხრომას, ბედნიერებას; მაგრამ მას გარდა სულის სიმშვიდე-ბედნიერებისა ყველაფერი აქვს. — მას ეშინია მადის დაკარგვის და კუჭის გაფუჭების, რომ ზომაზე მეტს ვერ დახარჯავს. — ეშინია ქონების დაკარგვის — გაკოტრების, ამიტომ დღე — და ღამ ფაცი-ფუცობს, თავის ქონებას ფარვანასავით თავს დასტრიალებს. ღარიბს აკლია ის რაც სხვას ბევრი აქვს: კარგი სახლი არ აქვს, რიგიანათ ვერ ცხოვრობს, მუდამ დღიურ ლუკმაზე ფიქრობს, არ აცვია და არა ახურავს, ამიტომ ძლიერ წუხს, იტანჯება. ასეთი საერთო მწუხარე სურათი გამოიბრწყინდა საზოგადო ნაწარმოების უწეს — რიგოთ განაწილებისგამო. რისთვისაც თანამედროვე ადამიანები თავისთავათ გრძნობენ გაუმრთელებელ ტკივილებს, ეკონომიურ რყევა — უმკვიდრობას, რაღაც უბედურების მოახლოვებას. ამ დულილში, ბრძოლაში დაჭკარგა მან რაც სიცოცხლისთვის საჭიროა, ამიტომ დღევანდელი ბურჟუაზული ცხოვრება, რომელიც კერძო საკუთრების გარშემო აიკინძა, მწუხარე ლაოკოონისებურ სურათს გვიხატავს, სადაც მამა თავის ორი შვილით საშინელ მწუხარებაშია ჩავარდნილი. სამივეს გარს შემოხვეულიან გველები, თავის გასათავისუფლებლათ ბევრი უბრძოლიათ, მაგრამ დაქანცულან, ტანში მიკლაკნულ-მოკლაკნულან, თმები აბურძგვნიათ და პირ-სახე დაღრეჯილები დიდ მწუხარება-ტკივილებს გიხატავენ ადამიანს. აი, კაცობრიობის დაღრეჯის მიზეზი, რომელშიაც ქართველი ისევ ჩარეული, როგორც ფრანგი, რუსი, ინგლისელი, გერმანელი და სხ.. მაგრამ ეს საზოგადო ბურჟუაზული მდგომარეობაც წარმავალია, ისე როგორც სხვა ამის მოწინავე დროები იყო. მან თვით წარმოშობა თავის ჟარის მყოფელი ელემენტი და იმის ზრდაზეა დამოკიდებული მისი ადრე თუ გვიან საისტორიო არხივში ჩადება. ნიშნებია, რომ ახლანდელი ბურჟუაზული საკუთრება კოლექტივურათ შეიცვლება; მაშ, განახლებულ საკუთრების ფორმებს თან მოჰყვება განახლებული სოციალური წყობილებაც...

ი. კაკაბაძე.

ნაფიც მსაჯულთა სამართალი.

ჩვენი ქვეყნის ორივე გუბერნიის თავად-აზნაურობა შუამდგომლობს, ჩვენშიც შემოღებულ იქმნეს ნაფიც მსაჯულთა სამართალი. ყოველი შეგნებული კაცი დიდი სიამოვნებით უნდა მიეგებოს ამ შუამდგომლობას, და იმედი უნდა ეიქონიოთ, დღეს თუ არა, ხვალ მაინც ეღირსებით ამ დაწესებულებას; ამიტომ საჭიროა საზოგადოებამაც შეიგნოს მისი მნიშვნელობა. ამ მოსაზრებით ჩვენც ვეცდებით გავაცნოთ მკითხველებს მოკლეთ ეს დაწესებულება — „ინსტიტუტი", მისი ორგანიზაცია, მისი გავლენა მართლ მსაჯულებაზე და საზოგადოებაზე.

1864 წ. 20 ნოემბრის რეფორმამ ძირითადი ცვლილება მოახდინა რუსეთის სასამართლო პროცესში. ნაცვლათ ფარული, კანცელიარული სამართლისა, შემოღებულ იქმნა სამართალი ჩქარი, საჯა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო და მიუდგომელი. წინეთ მომჩივან-მოპასუხე ვერც ერთმანეთს ხედავდენ, ვერც მოსამართლეს; მათ ჰქონდათ საქმე კანცელარიასთან, ქაღალდთან და დაბალ ხარისხოვან მოხელესთან; მოსამართლეც ასამართლებდა არა მომჩივან-მოპასუხეთ, არამედ „საქმეს აშა და ამ №-ით“. ძნელი იყო ასეთი წესი სამოქალაქო საქმეებში და კიდევ უფრო ძნელი სისხლის სამართლისაში. აქ ჩვენ გვაქვს საქმე ადამიანის პიროვნებასთან, წყდება კითხვა ხშირათ ამ ადამიანის ზნეობრივ, პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებათა შესახებ; სასამართლოს განაჩენი ძირითადათ ცვლის მისს მდგომარეობას საზოგადოებაში. აქ მარტო ფაქტთან როდი გვაქვს საქმე: შეიძლება კაცს რამე კი ჩაედინოს, მარა სრულებით უდანაშაულო იყოს. საჭიროა მივიღოთ მხედველობაში მოტივები, რომელთაც დანაშაული ჩაადენინეს, გარემოება და პირობები, რომლებშიც იგი ცხოვრებდა, განვითარება, წოდება, ეროვნება და სხვ. და სხვ. ამისთვის კი საჭიროა თვალწინ გვედგას თვით ბრალდებული, ჩვენი თვალით ვნახოთ იგი, ჩვენი ყურით მოვისმინოთ მისგან საქმის ახსნა, მასთან ვალაპარაკოთ მოწმეები; საჭიროა მოსამართლეს თვით ბრალდებულთან ჰქონდეს საქმე.

ყოველივე ეს მიიღო ხსენებულმა რეფორმამ. მან განამტკიცა ხალხში კანონის პატივისცემა, სამართლისადმი ნდობა და დღეს ღარიბი და მდიდარი დარწმუნებულია, რომ მათ მოუსმენენ, მიიღებენ მათ ახსნას და მისი მიხედვით დაუდგენენ სამართალს. დღეს სასამართლოს წინ ყველა თანასწორია (იურიდიულათ მაინც), ყველას აქვს თავის დაცვის საშუალება.

ამავე რეფორმამ მოსპო თითქმის ქრთამი და მისი მნიშვნელობა, წინეთ სამართალს ფულით ჰყიდენ. დღეს თუ ხანდახან კიდევ გვესმის რამე მექრთამე მოსამართლეზე, იმდენათ იშვიათათ, იმდენათ წარმოუდგენელია ეს ჩვენთვის, რომ უზომოთ გვაღელვებს; წინეთ კი თვით საზოგადოება კანონიერ მოვლენათ თვლიდა ქრთამს. ღარიბი გაურბოდა სასამართლოს, მდიდარი კი, თუნდ დამნაშავეც ყოფილიყო, გულდამშვიდებული დგებოდა მის წინ, იცოდა, რომ ოქრო ყოველთვის მისკენ გადმოსწევდა სამართლის სასწორს.

არ უნდა დავივიწყოთ აგრეთ წოდებული „ВОЛОКИТА“-ც, — საქმის დაუბოლოვებელი წარმოება. იყო მაგალითები, რომ ერთი და იგივე საქმე სამ და მეტ დგმას უწარმოებია. თანამედროვე სამართალში ამას ველარ ვხედავთ, თუმცა არც იმის თქმა შეგვიძლია, რომ თანამედროვე მართლ-მსაჯულება საკმაო სიჩქარით წარმოებდეს [1]); მაინცდღევანდელი სამართალი შეუდარებელია წინანდელთან, იმ დროს მარტო სიზმარში თუ ნახავდა ვინმე ასეთ სამართალს!

არა ნაკლებ სამძიმო და ხელის შემშლელი იყო სამართლის რიგიანი წარმოებისათვის ადმინისტრაციის და სასამართლოს ერთ მანეთში არევა, სამოსამართლოს ადმინისტრაციისაგან დამოკიდებულება, და დამტკიცებათა ფორმალური თეორია, ეს უკანასკნელი მეტათ ვიწრო ფარგალში აყენებდა მსაჯულს: აქ კანონით წინათვე განსაზღვრული იყო რა დამტკიცებას, ვის ჩვენებას რა მნიშვნელობა ჰქონდა და მსაჯულს ხშირათ მხოლოთ არითმეტიკულათ უნდა გამოეანგარიშებია, სრული იყო დამტკიცება თუ არა. [2]) ახლა კი მოსამართლე თავისუფალია: ის ხელმძღვანელობს მხოლოთ საზოგადო ლოღიკით და თავის სვინისის მიხედვით უნდა დაადგინოს განჩინება.

ასეთი იყო ამ რეფორმების მნიშვნელობა რუსეთში და ასეთივე იყო იგი ჩვენში; თუმცა ჩვენში, როგორც ყველაფერს სხვას, ამ რეფორმასაც მეტი ნაკლი დაჰყვა თან. ამის მიზეზებს ქვევით განვიხილავთ.

სხვა ცვლილებასთან ერთათ ამავე დროს შემოღებულ იქნა შიდა გუბერნიებში ნაფიც მსაჯულთა სამართალი, ეს „პალლადიუმი პიროვნების, თავისუფლებისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობისა, დაუღალავი დარაჯი საზოგადო მშვიდობიანობისა და მკაცრი მტუქსავი ბოროტ-მოქმედებისა“. ამ ინსტიტუტმა ღირსეულათ დააგვირგვინა ალექსანდრე II რეფორმები. მისი შემოღებით კანონმდებლობამ მტკიცე ნიადაგზე დააყენა სამართალი, ამით მან კანონით დაამკვიდრა დევიზი; „სამართალი ერისათვის და რამდენათ შეიძლება მისივე შემწეობითო“.

დღეს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი არის საუკეთესოთ ცნობილი ტიპი სასამართლოისა ყველგან, თუმცა მოწინაალმდეგეები დღესაც მოიპოვებიან, როგორც ევროპაში, ისე რუსეთში. ზოგი დღესაც „ქუჩის მოსამართლეებს“ ეძახის ნაფიც მსაჯულებს, მარა თავისი ნაყოფიერი მოქმედებით ყველა მოწინაალმდეგეებს ბურთი ჩასჩარა პირში ამ დაწესებულებამ. რუსეთშიაც დიდი ქარიშხალი გადიტანა მან; აქაური რეაქციონერები იერიშით მიესიენ, არ დაუზოგავთ არავითარი ღონე და საშუალება მის შესარყევათ, ცოტათი კიდეც მიაღწიეს მიზანს (ზოგიერთი კატეგორიის საქმე ჩამოაცალეს მისს კომპეტენციას, მაგ. პოლიტიკური), მარა საზოგადოთ მშვი-

---

1) ამის მიზეზია სამოსამართლო დაწესებულებებში მოხელეთა მცირე რიცხვი.

2) დღეს ამ კითხვაზე ვერ გახერხებთ ლაპარაკს უადგილობის გამო. შეიძლება სხვა დროს გვექნეს შემთხვევა ამ საგანს შევეხოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დობით გადაიტანა ყველაფერი ამ სიმპატიურმა დაწესებულებამ; დღეს მტკიცეთ აქვს მოკიდებული მასფეხი ჩვენი სახელმწიფოს ცხოვრებაში, საზოგადოებაში და მართებლობაც ალარ უყურებს განზე. ამის თავდებია იუსტიციის მინისტრის ბ. მურავიოვის სიტყვა და პალატის თავმჯდომარეთა კრების აზრი; ამას მოწმობს ისიც, რომ ამ უკანასკნელ წლებში სხვა გუბერნიებშიაც შემოიღეს იგი.

მთელი ჩვენი პრესსა და საზოგადოება, როგორც მოსალოდნელიც იყო, დიდი თანაგრძნობით მიეკება თავად-აზნაურთა შუამდგომლობას, ოღონდ რუსეთის და ჩვენი რეაქციონერები, თუმცა „პრინციპით არაფერი აქვთ წინააღმდეგი", გაიძახიან: „ჯერ ადრეა, „преждевременно" ამ რეფორმის შემოღებაო". დღეს მათთან საპოლემიკოთ ჩვენ არა ღეცალიან, და ვიტყვით მხოლოთ, რომ ამ „ჩვენი მეგობრების" აზრით, ჩვენთვის ყველაფერი ადრეა და მათთან კამათი არც დიდი სასიამოვნოა, ნამეჯურ, როცა თვითონაც გრძობენ, რომ მათთვის საჭიროა პირზე ნიღაბის ჩამოფარება. სწორეთ ასეთი ნიღაბია მსაჯულების მათი „преждевременность!"

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი არის ერთ ერთი ფორმა თვით ხალხის (ერის) მონაწილეობისა მართლმსაჯ. საქმეში. ეს მონაწილეობა მდგომარეობს იმაში, რომ ერის საუკეთესო წევრებს, მოქალაქეთ, მოიწვევენ სამართლის გასაჩენათ. ესენი ასამართლებენ არა როგორც მოხელე-მოსამართლეები სამსახურის ასასრულებლათ, არამედ, როგორც მოქალაქენი, გამომთქმელნი საზოგადოების აზრის და შეხედულების, აღმასრულებელნი თავისი მოქალაქობრივი მოვალეობა-უფლებ. იწვევენ ყველა ისეთ მოქალაქეთ, რომელთა ეოფაქტევ ბ ბ ბ

ქუთაისიდან გვწერენ, რომ ბ. მთაერიეეს ოფიციალურათ უარი გამოუცხადებია სენაკში ინსპექტორათ წასვლაზე. საქმე აი რაშია: ხმა დადის, ეითომც ყიფიანს ეთქვას, მთაერიეისთვის, რომ შარშან თუ სენაკის ჰაერსა და წყალს ასახელებდი იქ წაუსვლელობის მიზეზათ, რიგორც ავათ-მყოფი კაცი, წელს, ხომ იცი, არაეითარი გეოლოგიური ცვლილება არ მომხდარა სენაკში—იგივე მდებარეობაა, იგივე წყალია, იგივე ჰაერი, მაშ რათ მიდიხარო? მთაერიეეიც დაფიქრებულა, დაუნახავს რომ აქ მართლა ულოლიკობაა და უარი ვანუცხადებია. ასეა თუ ისე, ის კი მართალია, რომ თფილისში თანახმა იყო სენაკში წასვლაზე და ქუთაისში აზრი გამოიცვალა. ზოგი ამბობს მთაერიეეი სუსტი ხასიათისაა: თფილისში უთხრეს წადიო, და დათანხმდა, ქუთაისში—ნუ წახვალო, და დათანხმდა. თუ ესენი მართალია, ეს ხომ მთაერიეეის, ულოლიკობას და უხასიათობას ამტკიცებს და ამგვარი სკოლის წარმომადგენელი, სწორე მოგახსენოთ, არც სასურველია. ყიფიანი სიხარულით ცას სწვეია, გაფაციცებით ხელის მომწერლებს აგროვებს და იმედი აქვს თურმე დარჩეს ისევ სენაკში. ძალიან ადვილი საქმეა ეცადე, სამსონ, ეცადე!..

—

ჩვენ გვატყობინებენ: ცნობილმა მილიონერმა არაფელოემა შეიყიდა თ. ივ. იაგ. არლუთინსკის მამული, სიერცით 600 დესიატინა, წოდებული ზიმოვნიკათ, რომელიც მანგლისის ახლო მდებარეობს. მამული შეიცავს ერთ სოფელს, ტყეს, სათიბს და სახნავს. ამ სოფელში მოსახლეობს 16 კომლი ქართველი გლეხი და არაფელოეს იმ პირობით შეუყიდია, რომ ეს გლეხები აჰყაროს ამ ადგილებიდან. გლეხებმა კი ამისი არა იციანრა. ასე გაშინჯეთ, არლუთინსკის ისიც კი არ გაუგებინებია გლეხებისთვის, რომ სოფელი გაჰყიდა. არაფელოეს რათ უნდა ეს მამული, ან რატომ თხოულობს გლეხების აყრას არავინ იცის. მიწულში მიუცია 30 ათასი მან.

—

ხუთი წელიწადი იქნება, რაც ჭიათურაში რკინის გზა გამართეს და სწორეთ საკვირველებაა რომ აქამდის სადგურზე ოთახი არ არი, რომ კაცმა ან დაისვენოს, ან შაი ქვეთ გათხუპნული პირი დაიბანოს. მატარებელი უფრო ღამეობით მიდი-მოდის, ხალხი სოფლებიდან ადრეულათ ჩამოდის და საშინელ გაჭირებაში ეარდება. უცხოელები არც ერთ მხარეს ისე არ ეტანებიან, როგორც ამ შაი ქვის სამეფოს და ჩვენდა სასირცხვილოთ არცერთი ხეირიანი სასტუმრო არ მოიპოვება აქ.

„ᲙᲕᲐᲚᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. თუ საფრანგეთის ავ-კარგი პარიჟის ავ-კარგიანობით გაიზომება, ქუთაისის ჯან-საღობის მაჩვენებელი „ბულვარია“. „ბულვარი“ სარკეა იმერეთის დედა ქალაქის, ის არის მისი მისწრაფებათა გამომხატველი, მისი ჭირ-ვარამის მატარებელი. თუ რაიმე საზოგადოებრივი კეთდება ქუთაისში, ამის ინიციატორი ყოველთვის „ბულვარია“, იქ იბადება ყოველივე აზრია, იქ ისხამს ფრთებს და იმერული სისწრაფით ეფინება მთელ ქალაქს. გაუშინჯეთ „ბულვარს“ მაჯა და შეიტყობთ ქუთაისის მაჯის ცემას, ამ მხრით დიდი მსგავსებაა ქუთათურ „ბულვარსა“ და პარიჟს შორის. „ბულვარი“ ქუთაისისთვის იგივეა, რაც პარიჟი საფრანგეთისთვის.

ერთი მსგავსება „ბულვარდელებსა“ და პარიჟელებთა შორის ისიც არის, რომ „ბულვარდელს“ არ ძალუძს ერთ რომელსამე მოვლენაზე დიდხანს თავის მტვრევა, გაჩერება, მისი ბუნება მეტათ დაუდგრომელია. ის ახალ შთაბეჭდილებას, ახალ აღელვებას თხოულობს პირიჟელსავით და სწორეთ ამით აიხსნება, რომ ყიფიანის საქმე ასე მალე მოძველდა, გაცვდა. ძველათ თუ ეისმე აფიქრებს და აღონებს დღეს უბედურ ვარსკვლავზე გაჩენილ სენაკის სკოლის ბედ-იღბალი! ათასში ერთს თუ აქვს ჩარჩენილი გულის სიღრმეში ის ზიზღი ჩვენი გამგეობა-კომიტეტის მიმართ, რომელიც სამართლიანათ დაიმსახურეს მათ სენაკის სკოლის ისტორიით. ამნაირათ, თუმცა პირველი სენსაცია გამგეობის გადაწყვეტილებისა მასწავლებელთა შესახებ გამოწვეული საცაა დღეს თუ ხვალ ჩაქრება, მაგრამ საინტერესოთ მიმაჩნია აღვნიშნო პროცესი ამ თანდათანობითი გაგრილებისა, თუ შეიძლება ასე ითქვას.

გავარდა თუ არა ხმა მასწავლებლების ასე მკაცრათ დასჯისა, ახმაურდა „ბულვარი“, დაბზი ალდა ქუთაისის ახალგაზდობა, გაიმართა მიტინგები. კრებებზე ორ-გვარი აზრი გამოითქვა: ერთნი, უფრო დაახლოებით მცოდნენი სენაკის სკოლის ისტორიისა, პირდაპირ პროტესტის გამოცხადებას თხოულობდენ ასეთი სასტიკი დადგენილების გამო, მეორენი კი იმ აზრისა იყვენ, რომ მოეთხოვათ გამგეობისათვის სენაკის სკოლის უკანასკნელი წლის საქმეები, გაეშინჯათ, და თუ დაინახავდენ მასწავლებლები უდანაშაულოთ იყვენ დასჯილი, იმ შემთხვევაში პროტესტი გამოეცხადებიათ. კრებამ უკანასკნელი წინადადება მიიღო და გაგზავნა თავის ხარჯით, ორი დეპუტატი გამგეობის თავმჯდომარესთან. გავიდა დრო და ჟამი, უცდიდენ, აი აგერ მოიტანენ დეპუტატები ამბავს და აი აგერო, მაგრამ, როგორც არ დაგკლავთ. თურმე ნუ იტყვით, ერთი დელეგატთაგანი აღარც კი დაბრუნებულა ქუთაისში, სადლაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურამში თუ ბორჯომში დარჩენილიყო თფილისის სიცხეების შემდეგ გასაგრილებლათ! მეორე დელეგატი დაბრუნდა, მაგრამ რათ გინდათ? სანამ ჩემი ამხანაგი არ ჩამოვა, მე არაფრის მოხსენება არ შემიძლიაო. რას იზამდენ? იძულებულნი იყვენ ეცადნათ, სანამ მეაგარაკე ჩამობრძანდებოდა. დადგა ის სანატრელი დროც. „ბულვარში“ ხმა გავარდა -- მდ—ი ჩამობრძანდაო. დაინიშნა კრება და ბ. მდ—მა მოხსენების წაკითხვაზე უარი განაცხადა. „ამ კრებაში ერთი ისეთი არა სასურველი ელემენტია,— თქვა მან, —„რომ მოხსენების წაკითხვა შეუძლებლათ მიმაჩნიაო“. წარმოიდგინეთ კრების მდგომარეობა! ყველამ შეშფოთებით ქრისტეს მოწაფეებსავით დაიწყო კითხვა: „მე ხომ არა ვარ, უფალო, მე ხომ არა ვარ? თავმჯდომარემ მოთხოვა ბ. მდ—ანს დაესახელებინა ეს პირი, და იმანაც ბ. მეფისოვზე მიუთითა. ეს მეფისოვი დამფასებლათ აირჩიეს წელს ბანკში. როგორც ბოლოს გამოირკვა ბ. მდ—ის და მისი პარტიის ბრალდება ორ მუხლს შეიცავდა: პირველათ ბრალს დებენ იმაში, რომ მეფისოვს თავის კანდიდატურა ამხანაგების დაუკითხავათ წამოუყენებია დამფასებლის თანამდებობაზე და მეორეთ ამტყუნებდენ, როგორც ჯაშუშს კალისტრატე ჩიკვაიძისას. „სანამ ეგ აქ იქნება, მე მოხსენებას ვერ წავიკითხავო -- ჯიუტობდა დელეგატი. რაღა თქმა უნდა ბევრი წინაალუდგა ასეთ საქციელს დელეგატორისას და თხოულობდენ მოხსენების წაკითხვას. რადგან, ჯერ ერთი, რომ თუ რამე ჰქონდათ მეფისოვის წინააღმდეგ, რათ დაისწრეს პირველ კრებაზე, რათ მოაწერიეს ხელი პროტოკოლზე, რომელიც იმ კრებაზე შედგა, მაშინ ხომ უკვე არჩეული იყო დამფასებლათ და მეორე, სანამ ეს ბრალდება არ დამტკიცებულა რა უფლება გვაქვს, ვინც გუშინ ამხანაგათ მიგვაჩნდა, დღეს ამხანაგთა წრიდან გავაძეოთ, სამარცხვინო ბოძზე მივაკრათ! მეორე პარტია წინააღმდეგს ამტკიცებდა, მოხდა არეულობა, და თავ-მჯდომარემ კრება დახურა. გაიარა რამდენიმე დღემ; დანიშნეს მეორე კრება; მოვიდენ დეპუტატები, მოვიდა ბრალდებულიც. დაინახეს თუ არა მეფისოვი, დეპუტატებმა მიატოვეს კრება და გაიქცენ. ბ. მეფისოვმა მდივანი სამედიატორო სამართალში გამოიწვია.

რამდენსამე დღეს შემდეგ მოხდა მესამე კრება, რომელსაც მეფისოვი არ დასწრებია. გაიხსნა თუ არა კრება ერთმა დელეგატმა, ბ. კანდელაკმა წამოაყენა კითხვა „კვალის“ კორესპონდენტის X-ის შესახებ. თავმჯდომარემ სამართლიანათ უადგილოთ იცნო ეს კითხვა და კან—კს ნება არ მისცა ამაზე ლაპარაკისა. დელეგატი გაწყრა, გამოაცხადა, მაშ მე კრებას თავს ვანებებო და გარეთ გამოვიდა, თან თავის ამხანაგს დაავალა, რომ მას მოხსენება არ წაეკითხა მდივანიც შედრკა, შეყოყმანდა, საოცარი რამ არის „ეს ტყუპი დეპუტატი! დიდი მსგავსებაა განა, მკითხველო, მათდა და „როდიკა“ და „დოდიკას“ შორის? ბოლოს, როგორც იყო, წაიკითხა მდივანმა მოხსენება; აი მისი შინაარსიც: „თუმცა ბ. ილიამ მიგვიღო, მაგრამ არავითარ ქაღალდიდან პირი არ მოგვცა; მე არაფერი არა მაქვს წინააღმდეგი ქაღალდების მოცემაზეო. მაგრამ ეს ჩემი საქმე არ არის, არამედ გამგეობისაო.“ ეს იყო და ეს, თურმე ამ ოთხი სიტყვისთვის გადახდა კრებას ის ალიაქოთი(?) ქარ-ტეხილი. კინაღამ ერთმანეთს სისხლი შეაქციეს და რისთვის?! ეს მოხსენება, ჩვენის აზრით, არა თუ მეფისოვთან, უსასტიკეს ავაზაკთანაც კი წაიკითხებოდა.

„ახლა როგორ მოვიქცეთ?“ შეეკითხა კრებას ერთი დამსწრეთაგანი. თავ მჯდომარემ უადგილოთ ცნო ეს კითხვა და კრების დიდმა უმრავლესობამ დუმილით დაადასტურა. კმარაო, ფიქრობდა ალბათ კრება გულში. ისეთაც დიდი რევოლიუციონური ნაბიჯი გადავდგით და დროა გონს მოვიდეთ, რომ საზღვარს არ გადავცილდეთო. მე რომ მკითხოთ, მართლაც რომ კმარა, თორემ რევოლიუციონურისა კი რა მოგახსენოთ და სასაცილო ნაბიჯი კაი ხანია, რაც გადადგით...

კრება დაიხურა. ამნაირათ „ბულვარდელები“ შეშინებული შუა გზაზე გაჩერდენ, ეს კი პარიქელების წესი არ არის. მაშ რით ცოცხლობს ახლა „ბულვარი“, თუ სკოლის საქმე დაეიწყებულია? მკითხავს მკითხველი, ახლა მეფისოვის და მდივნის საქმით საზრდოობს. ვნახოთ რას გამოარკვევს სამედიატორო სამართალი.

მანუჩარი.

—

დ. სადისთავი (გურია). მეაბრეშუმეობა აქ ძლიერ გავრცელებულია, ეს ერთათ ერთი საუკეთესო დარგია მრეწველობისა, რასაც ხელს უწყობს თვით ბუნებაც. აქ მეაბრეშუმეები მხოლოთ ქალები არიან; კაცები არავითარ მონაწილეობას არ ღებულობენ ამ საქმეში. შარშან პარკს კარგი ფასი ჰქონდა (ფუთი ფასობდა 15—20 მანეთათ) და ყველა კმაყოფილი დარჩა თავის ნამუშავარით. იმ იმედით, რომ წელსაც კარგი ფასი ექნებოდა, ყველა ხარბათ დაეწაფა თესლს და იმდენი იყიდეს თითოეულმა, რამდენის გამოკვებაც მას ბჟოლით არ შეეძლო. ვისაც ერთი მისხლის გამოსაკვები ბჟოლა ჰქონდა, მან ორი-სამი მისხალი იყიდა, რადგანაც ფიქრობდა, რომ თუ შემომაკლდა ბჟოლის ფურცელი, მეზობელს გამოვარ-

თმეეთ და რა იცოდა რომ, მეზობელიც სწორეთ ასე ფიქრობდა. აქედან ცხადია, თუ რა გაჭირვება დაადგებოდა ხალხს. ჯერ დიდ-კანში ამოსული არ იყო ჭია, რომ უმეტეს ნაწილს ბჟოლა შემოაკლდა, რის მიზეზიც იყო ბჟოლის გაძვირება. თითო ძირი ბჟოლისა ფასობდა 2—5 მანეთამდის. ზოგიერთებმა რა კი დაატყვეს, რომ ბჟოლის გაყიდვით მეტი სარგებელი დარჩებოდათ, ჭიები გადაჰყარეს და ბჟოლას დაუწყეს ყიდვა. ბევრგან გაიგონებდით ამ გვარ საყვედურებს ქალებისაგან: „რაღა ჩემ ჯინზე დაისვა წრეულს სუყველამ ბოზოლი და ბჟოლი მოსპესო" ან და „რა მეშველება, ბოზოლი შიმშილით დამეხოცა და ფურცელი ვერსად ვერ ვიშოვეო". და ბოლოს დიდი ვაი-ვაგლახით მიუდგეს ცახი და მორჩენ ერთ გასაჭირს. ფიქრობდენ, რადგან ძვირათ დაგვიჯდა აბრეშუმის ჭიის გამოკვება ფასს მაინც კარგს მოგვცემენო, მარა გულზე შხამი გადაესხა სუყველას, როცა გასაყიდათ გაიტანეს და ათ ან რვა მანეთის მეტს არ აძლევდენ. რა უნდა ექნათ? ამოხვევას და გაყიდვას ვერ ბედავდენ, რადგანაც ფიქრობდენ, ვაი თუ უფრო ვიზარალოთო; გარდა ამისა ისედაც ღარიბ ხალხს, როგორიც ხიდისთავეია, ფული ხელზე ეჭირვებოდა, რომელსაც უცებ დახარჯვა მოელოდა. ჩვენ ზევით ვთქვით, რომ ფასს აძლევდენ-მეთქი და ახლა კი უნდა მოგახსენოთ, თუ ვინ იყვენ ეს მყიდველები. ესენი გახლდათ „ბურჯნი" ხიდისთავისა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ „ჩარჩნი", რომელთაც (განსაკუთრებით სამმა) გახსნეს პარკის სახრჩობი და საწყობი ქარხანა და ფასიც მათ დაადვეს. კარგათ იცოდენ, რომ ხალხი იქით-აქეთ პარკს ვერსად ვერ წაიღებდა გასაყიდათ, მათი წყალობით პარკის ფასი უცებ აიწევ-დაიწევდა ხოლმე; დილას რომ პარკი ათ მანეთათ იყიდებოდა, შუადღეზე რვა მანეთათ იყო. ერთი სიტყვით, როგორც მათ სურდათ, ისე ატრიალებდენ მაზანდას. მაშ რისი ჩარჩები არიან, თუ ჩარჩობა არ დაიწყეს! მერე არ იკითხავთ სადაურები არიან ესენი? ესენი არ არიან „გადამთიელნი", არამეთ აქა-

მომღერალი ქალი.



ქალის მოტაცება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურნი, ეკუთვნიან იმ ხიდისთავს, იმ საზოგადოებას, რომელმაც ის გამოზარდა, ძუძუ აწოვა იმ პირობით კი, რომ საზოგადოების სასარგებლო კაცებათ გამოსულიყვენ, მათ კი დაჰკარგეს სინიდისი და ჩარჩობას მიჰყვეს ხელი. მარა იმედია, თქვენ ჩარჩობას აც მოელება ბოლო და აწი ველარ „იპარპაშებთ“ ისე, როგორც „გიპარპაშიათ!!“.

ფსევდ. გ. შალელი.

—

ს. დუაბზუ. წინეთ იყო მოხსენებული გაზეთ „კვალში“, „დუაბზუელებმა მიიღეთ ბიბლიოთეკის ნება-რთვა და კიდევაც შევუდექით საქმესო!! მაგრამ აქაც გამოჩნდენ ისეთი პირები, რომლებმაც ბიბლიოთეკას კინაღამ სული დაალევინეს. დუაბზუს საზოგადოების ახლოა ერთი სოფელი, ბოხვაური. ამ სოფლის რამოდენიმე პირნი ამხედრდენ, ბიბლიოთეკა საკუთრათ ჩვენთვის უნდა წამოვიღოთო და ამ ნაირათ დუაბზუს ის ხელიდან გამოვაცალოთო. ამათ ისარგებლეს იმ გარემოებით, რომ სოფლის კანცელარია და სკოლა მათ სოფელში იმყოფება. ამ აზრით მობრძანდენ კრებაზე ერთი ბელადის, ვითომ და განათლებული კაცის წინამძღოლობით, რომელმაც თურმე დაიჩემა, რაც უნდა დაგვემართოს ბიბლიოთეკა ჩვენთვის უნდა წამოვიღოთო. კრებაზე ბელადმა ბრძანა: ბიბლიოთეკა უნდა გაკეთდეს კანცელარია და სკოლასთანაო—და ამას აჰყვენ სხვებიც. მათ უპასუხეს: ბიბლიოთეკის კანცელარიასთან გაკეთება უხერხულია, რადგანაც კანცელარია და სკოლა საზოგადოების საზღვარზე არისო; მაშინ ბიბლიოთეკა მთელ საზოგადოებაზე ძალიან დაშორებული იქნებაო. მართლაც კანცელარია და სკოლა აგებულია სწორეთ საზოგადოების განაპირას: იმას იქით დუაბზუს საზოგადოებას 10—15 საჟენი მეტიც არც ექნება სიგრძე. წინეთ დუაბზუს საზოგადოება უფრო დიდი იყო, მაშინ კანცელარია და სკოლა სწორეთ მოხერხებულ ადგილზე იყო, ბოლო დროს ამ საზოგადოების ერთი ნაწილი მოსცილდა და მიეწერა ქ. ოზურგეთს, ამის გამო კანცელარია და სკოლა დარჩა საზოგადების განაპირას. აქედან დუაბზუს საზოგადოებას ექნება $3^1/_2$—5 ვერსამდის სიგრძე. აქ რომ ბიბლიოთეკა გაკეთდეს, საზოგადოება მას ვერ ემხრობა და ამიტომ ბიბლიოთეკა ვერაფერ სამსახურს გაუწევს მას და ნაყოფს ვერ გამოიღებს. ეს ბიბლიოთეკა იმდენათ მოშორებული იქნება საზოგადოებაზე, რამდენათაც ქ. ოზურგეთის ბიბლიოთეკა, რადგან აქედან ოზურგეთამდის ძალიან ცოტა მანძილია, თუ აქ მოვიდა კაცი, მას ოზურგეთის ბიბლიოთეკაში მისვლაც არ გაუჭირდება. სწორეთ ამ მოსაზრებით მოითხოვეს დანარჩენებმა ბიბლიოთეკის საშუალო ადგილზე გაკეთება. ბოხვაურლების ბელადმა ამის წინაალმდეგ რომ ვერაფერი მოახერხა, მაშინ ჩაებღაუჭა სკოლას. —„ვისაც თავში კარგათ წარმოდგენილი არ აქვს თუ რა დამოკიდებულება აქვს ბიბლიოთეკას სკოლასთან“, ბრძანა ბელადმა „ის აქ ლაპარაკს ნუ დაიწყებსო“. მაშინ მას სამართლიანათ შენიშნეს: ჯერ ერთი რომ ეს ბიბლიოთეკა საყმაწვილო კი არ არის არამედ სახალხოაო, მეორე შეიძლია თუ არა სოფლის სკოლის მოსწავლემ ბიბლიოთეკით ისარგებლოსო, ჩვენ ეს ჯერ არ გვინახავს და ვერც დავიჯერებთო. ატყდა ერთი ჩხუბი და დავიდარაბა, ბევრი პატიოსანი პირი გაილანძღა სულ ტყუილ-უბრალოთ; მაგ. ზემოხსენებულ სკოლის მასწავლებელს ი. ღლონტს, რომელმაც ერთობ დიდი შრომა მიიღო ამ ბიბლიოთეკის თაობაზე, ბოხვაურელებმა ღალატი შესწამეს: „ბოხვაურელი ხარ და ჩვენსკენ უნდა წამოიღო ბიბლიოთეკაო“. ამნაირათ ჩამოვარდა განხეთქილება და ბიბლიოთეკამ კინაღამ სული განუტევა, ბოლოს როგორც იყო, შემობრუნდა საქმე, ამოირჩიეს კაცები შფოთის გადასაწყვეტათ. შუა კაცებმა მოილაპარაკეს და ამჯობინეს ბიბლიოთეკის დაარსება დროებით შუა ადგილზე რომელსამე ნათხოვარ სახლში. იმ შემთხვევაში თუ კანცელარია და სკოლა გადიტანეს საშუალო ადგილზე როგორც არის აღძრული კითხვები საზოგადოებას შორის, მაშინ ბიბლიოთეკა დარჩება იქვე და თუ ზემოხსენებული საქმე ვერ მოვიდა სისრულეში ერთ წელიწადს მერმეთ კიდევ სადავიდარაბოთ იქნება ბიბლიოთეკის საქმე და ვინ იცის საით წაიღებენ.

ამორჩეულ იქნენ კრებაზე შემდეგნი პირნი: მზრუნველათ პოდ. აზ. ნიკო მამულაიშვილი; აგრეთვე კომიტეტი, რომელსაც მიანდვეს ბიბლიოთეკის მოწყობის საქმე. კომიტეტს შეადგენენ: მღ. ი. ღლონტი, მღ. დ. ჯინჭარაძე, მასწავლებელი ი. ბასილაიშვილი და სოფლის მწერალი ი. ლომინაძე.

თანაგრძნობა აღმოუჩინეს ბიბლიოთეკას შემდეგმა პირებმა: წლიურათ 5 მან: ნიკო მამულაიშვილმა და იონა ღლონტმა.

—3 მან: ი. ღლონტმა, ბ. მენაბდემ, ი. ბასილაიშვილმა, ალ. ხუტულაიშვილმა, მაქ. ღლონტმა, აზ. ლ. ბერიძემ.

2 მან. 50 კ. მღ. დ. ჯინჭარაძემ. 1 მან. ნიკო. თამაიშვილმა, თ. ჭანიშვილმა, ი. ჭეფხოძემ, გ. თომაიშვილმა და სხ.

ერთ დროებით, იას. მუჯირმა 2 მან, იაგორ ლომინაძემ 3 მ, ვადაჭკორიამ 1 მ, და სხვ.

დასასრულ მივმართავეთ ქართველ საზოგადოებას და ვთხოვ უმორჩილესათ მცირედი დახმარება აღმოუჩინოს ჩვენ ნორჩს და ფესვ გაუდგმელ ბიბლიოთეკას.

დუაბზუელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩემი შთაბეჭდილებანი.

(ჩემი უბის წიგნიდან).

ყველა კულტურულ კაცს, სხვათა შორის ერთი კარგი კულტურული ჩვეულება აქვს, თავის უბეში უთუოთ პატარა წიგნს ატარებს, რომელსაც ამიტომ უბის წიგნს ეძახიან. ამ ბოლო დროს მეც შემოვიღე ეს ჩვეულება, მაშასადამე მეც... მეც კულტურული უნდა ვიყო. ვარ კიდეც... როგორც კულტურულ კაცს, მე არ შემიძლია რაც ჩემ გარშემო ცხოვრებაში ხდება, გულ გრილათ განზე ჩავუარო. მით უფრო, ცივი ტემპერამენტის არა ვარ, პირიქით მახლობელნი შთაბეჭდილებების კაცათ მიცნობენ.

შთაბეჭდილებანი, რომელნიც უფრო ღრმა კვალს ტოვებენ ჩემში, შემაქვს ჩემ უბის წიგნში. დღეს ხუმტურმა მომიარა, გადავწყვიტე, ჩემი უბის წიგნიდან ზოგი შთაბეჭდილებანი რომელსამე გაზეთში ჩავაგდო.

„22 ივლისი ქუთაისი და ქუთათური ფქვილის მეტამორფოზა.

ქუთაისი ახალი კულტურული ტიპის ქალაქი არ არის, მას მხოლოთ კანი აქვს კულტურული, მარა იმდენათ თხელი და გამჭვირვალე, რომ შიგ ნამდვილი, ნატურალური ქუთაისის დანახვა ძნელი არ არის. ნატურალურ ქუთაისში საზოგადოებური ურთიერთობანიც, რასაკვირველია, ნატურალურია. ეს უკანასკნელნი ემორჩილებიან თავისებურ კანონებს, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, უკანონობას, ვინაიდან აქ თითქმის ყველაფერს შემთხვევა განაგებს. ეს ცვლა, სახიფათოა ქუთაისის ბედ-იღბლისთვის, მით უფრო ცუდი, მით უფრო სახიფათო, რომ ამ ბოლო დროს ის —შემთხვევა, საზოგადოებური სფერიდან ფიზიკურ არეშიაც კი გადადის. ამ დღეებში, მაგ. მის სხივს შეუნათებია ვაჭარ აბრამა ელიგულაშვილის ფქვილში და შიგ დაუჯერებელი პეტურბაცია მოუხდენია. („Нов. Обоз.“ № 5336) 138 ტომარა ფქვილი, რომელიც ექიმ ბ. სეგალის, ბოქაული ბ. არსენიევის და სხვა რამდენიმე პირების მოწმობით, მეტისმეტათ მწარე, „დამპალი და მოსახმარათ ყოვლად უვარგისი“, ყოფილა უეცრათ მოულოდნელათ, სრულიად ჰკარგავს თავის თვისებებს: მეტისმეტ სიმწარეს, სიდამპლეს, ყოვლად უვარგისობას და ამასვე მოწმობენ სხვა არა ნაკლები პატივსაცემნი პირნი ექიმები: ბ.ბ. ხეჩინოვი და ნაზაროვი. (ექიმს ქ. გერრატს უხმარია მოქალაქობრივი მამაცობა, თავისი შეხედულობა ამ საარაკო მოვლენის შესახებ არ წარმოუთქვამს!) ქუთაისის სამსჯავროში ქუთათურ ნაფიც ვექილს ბ. დარახველიძეს შესანიშნავი პატეტიური სიტყვა წარმოუთქვამს ბ. სეგალის წინააღმდეგ. ამ ზომითო ამბობს სხვათა შორის ორატორი, ბ. სეგალს შეუძლია, ერთ შვენიერ დღეს, უბადრუკი ქუთათურები სრულიად უპუროთ დაარჩინოსო.

მე კი სულ სხვა გარემოება მაშინებს: რა ეშველება ქუთათურებს, რომ „ერთ შვენიერ დღეს“ იმ წყეულმა შემთხვევამ სულ უკუღმა დაატრიალოს თავისი სასწაულთმომქმედი თილისმა —ყოვლად საღი არა მარტო ფქვილი, ყველა საკვები ხორაგეულობა ყოვლად უვარგისათ აქციოს??.

„23 ივლისი. დღეს „ივ.“ 155 № გადავათვალიერე. შიგ ჩვენი ქართველის, მაგრამ დროებით რუსეთში —ქ. მოსკოვში, მცხოვრები ვაჭრის ღია წერილი წავიკითხე ნ. ჟორდანიასადმი. წერილი საშინლათ მომეწონა. მე, უნდა გავტყდე, არ მეგონა, თუ ასეთი განვითარებული ვაჭარი გვყავდა, ავტორს მეტადრე კრიტიკული ნიჭი ეტყობა. აქ, ამ დარგში ისე გრძნობს ის თავს, ვითარცა თავის სახლში. არც გასაკვირველია, კრიტიკა, საზოგადოთ, ვაჭრის ზედ დაყოლილი ნიჭია. ამიტომაა, რომ სადაც ის, ვაჭარი, ფეხს დადგამს, იქ უთუოდ კრიტიკაც გაჩენილია. ყველაფერს ზომავს კბილს უშინჯავს; რაც არ ვარგა, ის არც მოეწონება, რაც არ მოეწონება, იმის დღე დათვლილია. ძველ პატრიარქალურს ანგრევს, ახალს კი თავის ხატათ და მსგავსათ აშენებს. ერთი სიტყვით, ვაჭარი განხორციელებაა დღევანდელი ცივილიზაციის —თვით ეს ცივილიზაციაა. რა ვუყოთ, რომ ეს ცივილიზაცია ორპიროვანია, რომ ეს საოცარი წინააღმდეგობათა ცივილიზაციაა! ვაჭარი თვითონ ჭედს ხმალს თავისი არშინით —იმ საარაკო გეფესტის ჩაქუჩით, მის მიერ შექმნილ წინააღმდეგობათა დასანგრევათ. საკვირველი აქ მხოლოდ ერთი რამ არის: ყველა ამ სოციალურ სასწაულს ახდენს ვაჭარი ისე, რომ ერთ წუთსაც არ გამოდის თავისი პირადი ინტერესების ფარგლიდან, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ამ სასწაულს სწორეთ იმიტომ ახდენს, რომ ამ ფარგალში ტრიალებს. მიუხედავათ ამისა, ვაჭარი სულ იმის ფიქრშია, სულ იმაში არწმუნებს გამვლელ-გამომვლელს, რომ ის მსხვერპლია, მსხვერპლი სამშობლოსთვის მოვლენილი და წამებული. ავიღოთ, მაგ., ჩვენი სანდრო ვაჭარი, დროებით მოსკოვში მცხოვრები. როგორ ფიქრობთ, რისთვის დაიობლა თავი თვისი, სამშობლოს რათ მოშორდა? სწორეთ ამავე სამშობლოს საკეთილდღეოთ, მისდა საბედნიეროთ! ცნობილია, როცა ბურჯს ძირი მოუცვდება, შეულპება, დასამაგრებლათ სხვა ქორიდან ბარჯგს მიუსობენ. ჩვენი სანდროც სწორეთ იმიტომ გარდახვეწილა მოსკოვში, რომ იქიდან ბარჯგათ დაედვას ჩვენ ძირ შერყეულ ბურჯებს...

მაშ გაუმარჯოს სანდრო ბარჯგს, რომელმაც ბარჯგმაც სამშობლ.....?!“

* * *

„23 ივლისი. თბილისში ისევ საარაკოთ „თბილა“. გადაჭარბებულმა სითბოებმა ყველაფერს თავისი დაღი დაჩინა. დღისით ჩვენი ქალაქი პარტახს მოგაგონებს. არავითარი მოძრაობა, არავითარი ნიშანი ჩვეულებრივი —ქალაქური სიცოცხლისა. მისუსტდა თვით ბურჯი ამ მოძრაობისა: აღარ ისმის ვაჭრების

დაუსრულებელი ჟიღჟიღი, მათი ნოქრების ხვეწნა-მუდარა, თავისუფლათ შეიძლება მაღაზიების წინ ჩავლა, კალთებს ვერავინ დაგაგლეჯს.

მეტადრე უწყლობამ გააჭირა საქმე. თუ დღეში ერთხელ კრანტებში ზარმაცათ გადმოჩქეფს, ეს თითქოს იმიტომ, რომ გაჭირვებულ მრეცხავეთა შორის დაუსრულებელი აყურ-ზაური და ლანძღვა-გინება გამოიწვიოს, რომელიც ხშირათ ცემა-ტყეპით ბოლოვდება.

ჩვენ—კულტუროსნები, უწყლოთ, როგორცაა, კიდევ ვძლებთ, მარა ნამეტანათ შეგვაწუხა უჰაერობამ, რასაც დაბალი მუშა ხალხი თავიდანვე შეჩვევია.

მობინდდა. ქალაქმა წამოჰყო თავი. აქეთ-იქით მიექანება ჰაერის საძებრათ. უმეტესობა მუშტაიდისკენ მიედინება. დღეს მეც ავყევ ხალხის ფეხის ხმას, მეც მუშტაიდისკენ წაველ. აქ მტვერი მეტი ყოფილა, ჰაერი კი ნაკლები. ხალხი მაინც ურიგდება ამ ნაკლს; მუზიკაა და მუზიკას გარს უვლის, გარს ახვევია, ვითარცა სანთელს პეპლები. მე ორიგინალობა გამოვიჩინე. განმარტოებულათ დავიწყე ბოგინი ბნელოში ბილიკებზე. უეცრათ პოლიციის მოხელის სტვენა გაისმა, მას მეორე გამოეხმაურა, მეორეს მესამე; თან გაისმა ფეხების ბრაგა-ბრუგი. ცნობის მოყვარენი დაიძრენ იქითკენ, საითაც სტვენა გაისმა; მეც, რასაკვირველია, სხვებს არ ჩამოვრჩი. „Въ участокъ", გაიძახიან პოლიციელები. „Не могу, не мо...гу", ისმის ვილაც ქალის ხმა შუა წრიდან. რა უიმედობას, რა სასოწარკვეთილებას მოიცავს თავი, ღმერთო ჩემო, ამ ორ სიტყვაში!—ქალი წაიყვანეს, წაათრიეს.

ამ სურათმა მომაგონა მეორე ამგვარი სურათი, რომელსაც შემთხვევითვე წავაწყდი ამ რვა წლის წინეთ, მარა მუშტაიდში კი არა, მთაწმინდაში, ღამით კი არა დღით. ახლაც თვალწინ მიდგია ახალგაზდა ქალი, რომლის ფერმკრთალ პირის სახეზე, როგორც სარკეში, აღბეჭდილიყო მისი ჯოჯოხეთური სულის კვეთება. არასოდეს არ დამავიწყდება მისი სევდიანი, გულის გამგმირავი „пощадите!!". მერე пощадили-შეიწყნარეს? არა. არ ეშვებიან. ქალიც, დაღალულ დაქანცული ზნეობრივათ, ფიზიკურათ, თითქო დაემორჩილა. მარა არ გაუვლია ორ წამს, ის უეცრათ, მოულოდნელათ დაექანა, გაუსხლტდა თავის მტარვალებს ბრჭყალებიდან, ორივე ხელები წაივლო ტანზე და ერთი თვალის დახამხამებაში, სრულიად დამშვიდებული გამოიჭიმა წინ სწორეთ იმ ტანსაცმელში, რომელშიაც ის პირველათ ეწვია სტუმრათ ამ უკეთესთაგან უკეთეს ქვეყანას. ხალხი განცვიფრდა ამ ყოვლად მოულოდნელი ფინალით, მიიფანტ-მოიფანტა; გოროდოვები გაჰქრენ, თითქო დედა-მიწამ ჩაყლაპა.

„შიში მიჩვენე. გაქცევას გიჩვენებო".

სილიონი.

ოცნებაში.

მახსოვს, ერთხელ, როს ოცნების
ანგელოზსა სპეტაკს მკერდში
ვეხვეოდი და მიწის შვილს
მქონდა ბინა იმის ფრთებში —
მაშინ უცებ ნაპერწკალი
გაჩნდა ზეცის ერთს კიდეში
და დაეშვა მიწისაკენ,
განუსაზღვრელ ცის სივრცეში.
რამდენათაც ეოდვილ მიწას
იგი უახლოვდებოდა,
იმდენათაც იზრდებოდა,
ძალაც უცხოვდებოდა.
უცებ შეკრთა დედა-მიწა,
შეშოშმინდენ მიწის შვილნი
რა იხილეს მათკენ იყო
მიმართული ნათლის სხივნი.
გამოვიდენ მოედანზე,
ზოგის სახეს ნეტარება
გადაჰკვროდა და ზოგისას —
ვაება და მწუხარება.
და გაიყვენ ორ ნაწილათ:
ერთკენ დარჩა მოხარულნი
და ერთკენ კი — მწუხარენი,
ცეცხლის ბურთით მოწამლულნი.
უგანასკნელთ შიშის ზარი
გადმოსდოდათ მკალს და რბილში
და მთელ თავის არსებითა
კანკალებდენ ნათლის სხივში.
უნდოდათ რომ იმ სინათლეს
გაქცეოდენ სადმე ბნელში,
მარა დახეთ, — ის სინათლე
აშუქებდა ყველა ხვრელში.
პირველ ჯგუფს კი თავის დროშა
აემართა, გადეშალა
და მათ სახეს, ნათლით მოსილს,
აბრწყინვებდა ნათლის ძალა.
გულაც შეიძრა დედა—მიწა,
აბობოქრდა, იწყო ღელვა
და იმ ბურთმა პირველ ჯგუფის
დროშაზედა გაიელვა...
მისი შუქი მეორე ჯგუფს
ისე მძლავრათ მისდგომოდა,
რომ ის ჯგუფი იმ სინათლით

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკვდილის გზას უდგებოდა...
რა მიხილა ანგელოზმა
გაკვირვებით შეპყრობილი,
ჩამაცქერდა, აღძრა ბაგე,
გამაგონა ხმები ტკბილი:
„ეს პირველი ჯგუფი არის
სინათლისა მოყვარული,
მეორეს კი იმ სინათლის
სიძულვილით უძგერს გული.
ეგ სინათლე სიბნელითა
ჰყავდათ იმათ დაფარული,
მარა ხედავ? ამ სიბნელეს
მოუვიდა დასასრული.
გაანათა სინათლემა,
მით თვის დამცველთ მისცა შვება,
ეს სინათლე ის ძალაა,
სიმართლე რო ეწოდება“...
ეს მითხრა და გაჰქრა კიდეც,
მიეფარა ცისა არეს..
და პირველ ჯგუფთ ტკბილი მღერა
ედებოდა არე-მარეს...

კ. გოგოლაძე.

ხალხის გულის მესაიდუმლე.

(თხზულებები ეგ. ნინოშვილისა.)

> **Иныхъ временъ, иныхъ картинъ**
> **Провижу я начало.** ნეკრასოვი.

(შემდეგი)

II

მოწყვეტილ ვარსკვლავსავით ნინოშვილმა მხოლოთ გამოშუქება მოასწრო და მალე ჩაქრა, მაგრამ ამ პატარა ხანის განმავლობაშიც ბევრის გაკეთება მოასწრო, ბევრ საყურადღებო კითხვებს შეეხო, ბევრ ახალ მოვლენებზე მიუთითა მკითხველს; მხატვარისა და პუბლიცისტის ნიჭი მასში ერთად იყო შეზავებული; თითქმის ყოველი მისი მოთხრობა პუბლიცისტური ხასიათისა არის და მისი ნიჭის უმთავრესი ღირსება და მნიშვნელობაც ამაში მდგომარეობს. ნინოშვილის მიზანი იყო, დაესურათებია მკითხველისათვის ჩვენი გლეხის დღევანდელი მდგომარეობა და ამ მდგომარეობის ტენდენცია. ყოველ თავის მოთხრობაში ის აღნიშნავს გლეხის კეთილდღეობის ნელანელა დაქვეითებას, მისი ოჯახის დაღუპვას. ზოგ თავის მოთხრობებში ის აღნიშნავს იმ მიზეზებს, რომლებიც გარედან ამხობენ გლეხის ოჯახს, ზოგში კი იმ მიზეზებს, რომლებიც გლეხის ოჯახს შიგნიდან ურყევენ საძირკველს. პირველი რიგის მოთხრობებს ეკუთვნის: „გოგია უიშვილი“, „პალიასტომის ტბა“, „სიმონა“, „განკარგულება“, „მონადირე“, „მოსე მწერალი“; მეორეს: „უცნაური სენი“, „პარტახი“, „არშიყნი“ და „ჩვენი ქვეყნის რაინდი“ თავისი დედააზრით პირველი ორი რიგის მოთხრობებს არ ეკუთვნიან. ჩამოთვლილის რიგზე გავარჩევთ ჩვენც ამ მოთხრობებს.

გოგია უიშვილი იყო ღარიბი გლეხის შვილი, მამა მისმა მთელი თავისი სიყმაწვილე და ვაჟკაცობა ბატონის სამსახურს ჩაალია. მამის სიკვდილის შემდეგ გოგიას და იმის ორ ძმას დარჩათ პატარა ძველი ფიცრული სახლი, ნალია, ფაცხა და შვიდი დღიური „სანადელო“ მიწა. ჯერ, გაუყოფლათაც რომ დარჩენილიყო ეს უძრავი და მოძრავი ქონება, მაშინაც რა იქნებოდა, თორემ სამათ გაყოფის შემდეგ უფრო რა! ძველი სახლის ამარა დარჩა გოგია, მარა ის და მისი ცოლი, მარინე, გულს არ იტეხდენ: ხელს გავანძრევთ, გავირჯებით და სიღარიბე ჩვენც ტკბილ ცხოვრებათ შეგვეცვლებაო. იმედი ის მძლავრი ყავარჯენია, რომელსაც ეყრდნობა ხოლმე გლეხი, რანაირი გაჭირვებაც უნდა ადგეს, ნახევარჯერ რომ მშიერი იყოს მაინც გულს არ იტეხს, იმედი აქვს: როცა იქნება, ჩემსკენაც გადმოიხედავს ღმერთიო, და ეს იმედი ჰფენს მცირეოდენ შუქს მის ბნელ ცხოვრებას. იმედით იმხნევებდა ახალგაზდა გოგია გულს, მაგრამ რაობით უნდა შესწრებოდა, „ტკბილს“ თავი დავანებოთ, უკეთეს ცხოვრებას? ორი კვალი მიწა—ისიც საბატონო—იმდენს არ აძლევდა, რაც უნდა ეშრომა, რომ კუჭი გაეძღო; სხვა-და-სხვა გადასახადი, რომელიც ყოველ წელს იზრდებოდა, როგორღა უნდა გადაეხადა? გოგიას დაესია წვრილ შვილი; მათი პატრონობაც ხომ ზედ მეტ ხარჯს ითხოვდა. რაც დრო გადიოდა, გოგიას ცხოვრება არა თუ ტკბილდებოდა, როგორც ის ინუგეშებდა თავს, უფრო მწარდებოდა. წელებზე ფეხს იდგამდა გოგია, მიწას ოფლით რწყავდა; თავჩაქინდრულ მუშაობაში ისე გამოეპარებოდა დღე, რომ მზეს ვერც ამომავალს დაინახავდა ვერც ჩამავალს; მისმა სიყმაწვილემ გაირბინა, ჭაღარა გამოერია და რა დარჩა შედეგათ? უარესი ცხოვრება და გატეხილი გული: სიყმაწვილეში გოგიას მთელი გული ჰქონდა, მძიმე უღლის ზიდვაში მუდამ იმედი—უკეთესი მომავლის წარმოდგენა ამხნევებდა მას; დღეს კი ეს უკეთესი მომავალი სადღაც გადიკარგა სამუდამოთ. გოგიას გული გაუტყდა, მან ბედს ჩივილი დაუწყო; მალე ჩივილი ბედის წყევლათ გადაექცა. ახალგაზრდა გოგია თუ ფიქრობდა სიბერეში სიტკბოებას შევესწრებიო, ჭაღარა შერთულ გოგიას სანეტარო ფიქრი მწარე ოხვრათ შეეცვალა; „სიკვდილი ჯობია ჩემს სიცოცხლესო“ ხშირათ ამოხდებოდა ხოლმე იმის გულიდან. გოგიამ დათალა ფიცრები, რომ ახალი ოდა დაედგა, მაგრამ გაჭირვებამ გააყიდვია ფიცრები; მებატონე, მღვდელი, მამასახლისი, ნაცვალი,—ყველა მას წოვდა სისხლს და რომელ ერთს გახვდებოდა, თუ არაფერს გაყიდდა? მარინეს მზითევიც გადასახადს მოუნდა, კაბაც კი ვერ გადურჩა! თავის დაღუპვის მიზეზათ გოგიას გადასახადი მიაჩნდა, ამიტომ ხანდახან მოთმინებიდან გამოსული ჰკიცხავდა ხოლმე თავის მტანჯველებს, უსამართლობას და, რაც გულში ნაღველი ჰქონდა დიდი ხნობიდან დაგროვილი, შეუკავებლათ გადმოანთხევდა. ამის გამო რამდენჯერმე ხიფათშიაც კინალამ გაება: ერთხელ მღვდელი უპირებდა ოქმის შედგენას, მეორეთ მამასახლისი.—ახალწელიწადის წინა დღე არის; გოგია თავის ცოლშვილშია; დღეს

ივიწყებს ის თავის ჭირ-ვარამს, უნუგეშო ცხოვრებას; უნდა ერთხელ მაინც გამოცადოს, თუ რა არის მხიარულება, სიამოვნება, სიყვარული, ალერსი. მის პატარა, მჭვარტლით გაშავებულ სახლში საერთო მხიარულებაა. გოგიას საახალწლოთ ყოველისფერი დამზადებული აქვს და კმაყოფილია. ბავშვების სიხარულს ხომ საზღვარი აღარა აქვს.

„ერთ საქმეში იყო პატარა ორ წლინახევრის ქალი თებრო: ხან დედასთან მივიდოდა და დაუწყებდა ეფერებას და ტიკტიკს:

— ნენა დიდი შული კიდე გაკეთეფ?... სულო, სულო!...

ხან მამას ეხვეოდა და ეუბნებოდა:

— ბაბა, ხვალ კალანდია, მე ალ დეკიძინავ...

გოგიაც შვილებს ეალერსებოდა და მათთან ერთათ მხიარულობდა. ერთათ ერთი ნუგეში და მოსაოხარი გლეხისათვის ოჯახია. მთელი მისი ცხოვრების დედა-ძარღვი, მისი სიცოცხლის მიზანი ეს ოჯახია. დღეს თავის ოჯახში, თავის პატარა შვილებში, გოგიაც გამხიარულებულია და სიამოვნებით სახე გაშლილი და გულ შემსუბუქებული მოელის ხვალინდელ დღეს. მისი საუკეთესო ნუგეში და გამამხნევებელი ერთ დროს იმედი იყო, რომელიც არც ერთ გაჭირვების დროს მას არ შორდებოდა. ჭალარა შემორჩეულ გოგიას იმედმაც ულალატა; მაგრამ ახალი წლის მოლოდინმა, ცოლშვილში მხიარულებამ დაავიწყებია მას თავისი უნუგეშო აწმყო და მის გულში კიდევ ძველის ძლიერებით შემოაშუქა იმედმა.

„ალი, წმინდაო ბასილე. თუ გამამართლო სეტლოის სიტევა—ბოლო ჟამს კაი ცხოვრებაო, რომ მიაწვრს! ალი ღმერთო, თუ ამ კალანდიდამ მოწყალული წაღმა შეტრიალო ჩემი იღბალი!“ ამბობდა გოგია იმედზე მტკიცეთ დანდობილი. მაგრამ მისი ცხოვრები ისე მოეწყო, რომ ხანგრძლივ მხიარულებას მისი გულისაკენ და ბედნიერებას იმის ოჯახისაკენ ყოველის მხრიდან გზა აქვს შეკრული. რადგანაც სოფელში ავადმყოფობა იყო გაბშირებული, მთავრობამ „ზეკუცია“ ჩამოაყენა სოფელში, ვითომდა სოფლის დასაფარავათ. გინდა მგელს შეეუჭამიეარ, გინდა მგლის ფერ ტურასაო,— სწორეთ ამაზე არის ნათქვამი. მთავრობის ასეთმა ზომამ გლეხებს სიცოცხლე გაუმწარა, ფირალების შემცირების მაგიერ მათი რიცხვი უფრო გამრავლდა. გლეხობას უნდა ეძლია უფროსისა და ყაზახებისათვის სასმელ-საჭმელი, ეზიდა შეშა, ეძლია ფული და სხვ. ამას ზედ ერთობოდა მრავალი უსამართლობა და შეურაცხყოფა. როცა მხიარული გოგია ახალწლის მზადებაში იყო, მაშინ მოადგა ნაცვალი ყაზახი რუსებით და ერთი თუმანი თხოვა. რადგანაც გოგიას ფული არა ჰქონდა, ყაზახებმა საკალანდო სამზადისი წაართვეს, ძაღლი მოუკლეს, გოგიას თავ პირი დაამტვრიეს., ესეც არ აკმარეს: შებაწრეს და წაიყვანეს უფროსთან. ასეთი უსამართლობით გოგიას ნაღვლით ევსებოდა გული, მაგრამ იმდენ ხალხს ერთი რას უზამდა! მას იმედი ჰქონდა, რომ სამართალი არსებობდა ქვეყნათ და ამიტომ თამამათ მიდიოდა კანცელარიისაკენ, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ სამართალი და კანონი დაიფარავდა მას, იქ იცნობდენ მის უდანაშაულობას და გამოესარჩლებოდენ. გოგია ჯერ მამასახლისს შეჰყვირის: თუ სამართალი გაქვს, მიპატრონეო, მაგრამ იმას აქეთ-იქიდან აჩუმებენ: ნაჩალნიკმა არ გაიგონოსო. გოგიას რწამს სამართალი, რწამს, რომ სამართლის წარმომადგენელი დაიფარავს მას: მაშ რიღასი სამართალია, თუ მართალს არ იპატიებს? ამიტომ გოგია განგებ ცდილობს, რომ უფროსს ყოველისფერი გააგონოს და მას შეაბრალოს თავისი თავი.

— შეტ იგი მინდა, გეიგონოს. ნაჩალიკი თუა და მოსამართლე, აგია, დამაქტიეს და მიპატრონოს!—იძახდა გოგია.

მაგრამ გოგიას იმედმა აქაც უმტყუნა: არა თუ შეიბრალეს, მათრახით გაასიეა იმან, ვისგანაც შველას ელოდა! გოგიამ დაინახა მთელი თავისი უმწეობა, დარწმუნდა, რომ მისთვის არც სამართალი არსებობდა და ძალა-უნებურათ გადმოხეთქა ამ სიტყვებმა:

— „ჩვენდა ქვეყანაზე სამართალი არ ყოფილა! მე მომასარეს, მე დამაქტიეს, მე გამლახეს! სამართლის კარზე მოვედი, შეგონა და აქანაი უარესი მიუვეს! სად ხარ, სამართალო, ღმერთო, ხატო, რჯულო!“

მაგრამ სამართალი არსად იყო. სამართლის მოწოდებაც კი კანონის დარღვევათ ჩაუთვალეს გოგიას და ოც-და-ათი წკეპლა დაარტყეს. ამ გარემოებამ გოგია მიწასთან გაასწორა. სამართლის ალაგას თუ უსამართლობას და ძალ-მომრეობას ნახავდა, ამას ის არაოდეს არ მოელოდა. გოგიას უბრალო ყაზახებზე მოსდიოდა გული, სამართლის წარმომადგენელმა-კი უარესი დღე დააყენა და დაუმტკიცა მას, რომ სამართალი ნამდვილათ ისეთი არ იყო, როგორც გოგიას ქონდა წარმოდგენილი.

...„რა ვქნა! ღმერთია მოწამე, რაც თავს მოვსწრიგარ, მერე დღეი არ მოიმსგეხია და დამე, ჩემი ოფლი მიწას ერთოდა, მარა ჩემ დღეს საშველი არ დაადგა! ერთი სიმარული არ მინახავს! სხვაი სხვა იყო და შოლტით ხუმ!.. არა, ამას იქით ყოფნა ადარ ღირს!..“

ამდენი უბედურება ველარ აიტანა გოგიამ და სიცოცხლეს სიკვდილი არჩია. სააქოზე გულ-გატეხილ გოგიას საიქიოზედაც კი ეჭვი შეეპარა. „რა ეიცი, სად მივალო“, ამბობდა ის სიკვდილის წინათ. გოგიას უკანასკნელი სიტყვა იყო: „ეკითხოსო“ და ამ სიტყვაში შეაერთა მან მთელი თავისი ტანჯვა, მწარე ფიქრები, ჩვეული უსამართლობასა და უკანონობაზე.

იგ. გოგმართელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტერ და მეგობარი.

(ტურგენიევიდან).

სამუდამოთ დასჯილი ტყვე გამოვარდა საპყრობილიდან და შურდულივით გაიქცა... ფეხ და ფეხ მისდევდენ მდევრები.

ის მირბოდა რაც ძალი და ღონე ჰქონდა... მდევრები ცოტათ უკან ჩამორჩენ.

ტყვეს წინ დაუხვდა მდინარე ჩაღრმავებული კიდეებით. მდინარე ვიწრო იყო, მაგრამ ღრმა... თითონ-კი ცურვა არ იცოდა!

მდინარეზე გადებული იყო დამპალი, თხელი ფიცარი. ტყვემ ის იყო ზედ ფეხი შედგა... ამ დროს მდინარესთან მან მოასწრო თვალი ორ კაცს: ერთი იყო მისი კარგი მეგობარი და მეორე მისი დაუძინებელი მტერი.

მტერმა არა ფერი თქვა, გულხელ დაკრეფილი შესცქეროდა, მეგობარმა კი რაც ძალი ჰქონდა შეჰყვირა: „ღმერთო ჩემო, რას ჩადიხარ? მოდი გონზე, შე უჭკუო! ვერ ხედავ, რომ ფიცარი სულ დამპალია, ვერ გაგიძლებს, გაგიტყდება და შენ უსათუოთ დაიღუპები?“

— აბა, რა ვქნა, სხვაფრივ რომ ვერ გადავალ მდინარეზე.. გესმის მდევრებ-ს ფეხის ხმა?.. დაიყვირა სასოწარკვეთილებით უბედურმა და ფეხი შედგა ფიცარზე.

— არ გაგიშვებ!.. არა, არ გაგიშვებ რომ დაიღუპო, შეჰყვირა გულ შემატკივარმა მეგობარმა და ტყვეს გამოაცალა ფეხქვეშიდან ფიცარი. — ის აქაფებულმა ტალღებმა იმ წამსვე გაიტაცეს – და დაახრჩეს.

მტერმა გაიცინა და გასწია თავის გზაზე; — მეგობარი კი მოუჯდა მდინარეს პირს და დაიწყო მწარეთ ტირილი თავის უბედურ... უბედურ დამხრჩვალ მეგობარზე!

მის დაღუპვაში არ თვლიდა თავის თავს დამნაშავეთ...

„არ დამიჯერა! არ დამიჯერა!“ ბუტბუტებდა იგი ნაღვლიანათ

„მაგრამ ესეც ხომ იყო! — დაუმატა ბოლოს მან. — მაგას ხომ მთელი თავის სიცოცხლე მძიმე საპყრობილეში უნდა გაეტარებინა, ახლა მაინც არ დაიტანჯება! ერთხელ მორჩა და მოისვენა! ალბათ მისი წერა ეს ყოფილა!“

ადამიანის გამომეტება მაინც ძნელია!“

და ამ კეთილმა სულმა განაგრძო უნუგეშო გოდება თავის უბედურ მეგობარზე.

წერილი ციმბირიდან.

თუ რუსეთის აწინდელი ეკონომიური მდგომარეობის გაცნობა გინდა, მკითხველო, ციმბირს უსათუოთ უნდა ყურადღება მიაქციო: დღეს ეს მხარე შეადგენს თითქმის ნახევარ ნაწილს რუსეთის იმპერიისას და უპირატესი მნიშვნელობა აქვს მის ეკონომიურ განვითარებაში. რას წარმოადგენდა ეს მხარე ამ საუკუნის დამდეგს? თუ რუსეთი საზოგადოთ ითვლება ეკონომიურათ ჩამორჩენილ მხარეთ ჩვენ დროში, მაშინ ციმბირი წარმოადგენდა უშველებელ უდაბნოს რომელშიაც ატეხილი ტყისა და მხეცების მეტი არა იყორა. მხოლოთ აქა-იქა იყვენ დასახლებული ცალ ცალკე თემებათ, ეგრეთ წოდებული „Инородцы Сибири“. დიახ ეს ასე იყო, მაგრამ ახლა კი ასე აღარ არის; აკვირდები აქაურობას, უკვირდები მას რასაც ნამდვილი ცხოვრება ნათლათ გვიჩვენებს და უნებურათ გაგონდება ჩვენი საქართველო. რას წარმოადგენს ციმბირი ბუნებრივი სიმდიდრით, ეს ყველა ჩვენგანმა კარგათ იცის; იგი უხვათ არის დასაჩუქრებული ბუნებისაგან ოქრო-ვერცხლის, ქვა-ნახშირის და ვინ იცის კიდევ რამდენი, ჯერ აღმოუჩენელი, მადნებით. ურალის მთებიდან მოყოლებული იწყება რკინის მადნები, აქედან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ იწყება ოქრო-ვერცხლისა და თითბრის მადნები. ბაიკალის ტბის იქითა მხარეს, როგორც ახალი ცნობებიდანა ჩანს, აღმოუჩენიათ ქვა-ნახშირის მადნები, რომლის სიმდიდრე აღემატება სხვა რუსეთის ქვა ნახშირის მადნებს. ჯერ-ჯერობით ერთგვარი სიმდიდრე აქვს ციმბირს – ეს არის ბეწვეულობა, რომელიც განთქმულია მთელ რუსეთში და კარგი გასავალიც აქვს. როგორც ზემოთა ვთქვით, ციმბირის ბუნებრივი სიმდიდრე არავისთვის საეჭვო არ არის; მაგრამ აქ ყურადღებას სულ სხვა რამე იქცევს: სახელდობრ ის, რომ საზოგადო ფორმა წარმოებისა დღეს სრულებით ისეთი აღარ არის, როგორც წინათ იყო. ეს საზოგადო წარმოების ფორმა, რომელმაც შესცვალა ძველებური, რასაკვირველია, თანამედროვე მოთხოვნილების შედეგია. დიდათ საინტერესოა ამის გათვალისწინება, იგი ბევრ რასმე გვეუბნება ჩვენც და იმათაც, რომელნიც თვალ-დახუჭულნი ღაღადებენ: მამა-პაპურ ცხოვრებას ნუ მოვიშლით, შორს ჩვენგან გაევროპიელებაო. რკინის გზა — ეს პირველი ძლიერი ნაბიჯია კაპიტალისტური მრეწველობისა — სადაც ეს ფეხს შედგამს იქ ყოველისფერს ახალი ელფერი ედება; მისვლა-მოსვლა და აღებ-მიცემა-ვაჭრობა ფეხს იკიდებს, საქონლის გადატან-გადმოტანა ადვილდება და აქედან იწყება მსოფლიო ბაზარზე ვაჭრობა. დღეს ეს საკვირველი მანქანა უკვე შუა ციმბირამდის არის დასრულებული, ქალ. ირკუტსკამდე; სწორი მიმოსვლა საქონლისა და ხალხისა ახლო მომავალში გათავდება. რკინის გზა ზედ შუა გულზე ჰკრის ციმბირს, თუმცა ჯერ სრულიად დამთავრებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ არის. მაგრამ ის ეკონომიური ნიადაგი, რომლის საჭიროებისთვისაც ეს კეთდება, უკვე თვალ საჩინოა. თუ კარგათ დავაკვირდებით, ყველაზე უწინარეს თქვენ ყურადღებას იქცევს ხალხის ზრდა და მატება, არის იმისთანა სოფლები, რომლებიც ამ სამი ოთხი წლის წინათ სრულიად არ არსებობდენ, და რომელშიაც დღეს ასობით მცხოვრები ითვლება. ქალაქებიც ამასთან შედარებით ერთი-ორათ მატულობს. აქ ყურადღების ღირსია ის მოვლენა, რომ წინათ აქეთკენ დამნაშავეებს თუ გამოგზავნიდენ ძალით თორემ ისე თავი ვის მოძულებოდა რომ აქეთ წამოსულიყო ახლა... ახლა კი ძალათი მოდიან რუსეთის შიდა გუბერნიებიდან, ისე რომ ადმინისტრაციამ არ იცის სად დაასახლოს ეს ხალხი; ამ უკანასკნელ მოვლენას ე. ი. ხალხის აქეთ გადმოსახლებას ხელს უწყობს რუსეთის შიდა გუბერნიებში მოუსავლობა და შიმშილობა. ისე მატარებელი არ მოდის რუსეთიდან რომ ერთი ვაგონი მაინც არ იყოს სავსე ამ უსახლ კარო ხალხით. ზოგი ცოლშვილით, ზოგი მარტო ხელი მოესწრაფება ციმბირისკენ და ლამობს აქ მაინც ბოლო მოუღოს თავის გამწარებულ ცხოვრებას. ჯერ-ჯერობით ისე არ არის გავსილი აქაური მიწები და მრეწველობაც თხოულობს საჭირო მუშა ხელს (უმეტესათ რკინის გზაზე მუშაობა). ისიც უნდა შევნიშნო რომ აქაური მიწები უმეტესათ სახელმწიფოა და მთავრობა არ აბრკოლებს დასახლებას, მაგრამ შემდეგში, როდესაც ხალხი დაიწყებს სარგებლობას ამ მიწებით, ისიც მოთხოვს გადასახადს, როგორც სხვაგან. ზემოთა ვთქვით რომ თვალ საჩინოთ იზრდება თვით მრეწველობა. ამის ნათლათ დასანახათ მოვიყვანთ ციმბირის ვაჭრობა-წარმოების კალენდრიდან რამდენსამე მაგალითს. (Изъ Сибирскаго торговопромышленнаго календаря за 1899 годъ).

მოგვყავს სტატისტიკური ცნობები დასავლით და შუა ციმბირის შესახებ: ტობოლსკის გუბერნია 1896 წელს: ამ გუბერნიაში მუშაობდა 2823 ფაბრიკა, რომელიც აწარმოებდა 5.595.088 მან. შედარებით 1895 წლისა აქ ფაბრიკა ქარხნებმა იმატა 368 [1]). ამავე 1896 წელს აქ ითვლებოდა 7.440 მუშა. ახლა გადავიდეთ ტომსკის გუბერნიაში. აქ მრეწველობა შედარებით სხვა დასავლეთ ციმბირის გუბერნიებთან, უფრო მაღლა დგას. ერთი მესამედი ამ გუბერნიის წარმოებისა მოდის თვით ქ. ტომსკზე; თუ რანაირი ზრდა ეტყობა აქ მრეწველობას შემდეგი ციფრებიდან ჩანს: 1866 წელს ფაბრიკა-ზავოდები ამ გუბერნიაში ითვლებოდა 223; წარმოების ღირებულება (Сумма производства) არ აღემატებოდა 3.122 მან; 1884 წ. ფაბრიკა-ზავოდმა იმატა და ავიდა 813-მდე. 1896 წელს კი (უკანასკნელი სტატისტიკური ცნობებია) ფაბრიკა და ზავოდები ამ გუბერნიაში ითვლებოდა 2,031 და 4.175 პურის საფქვავი წისქვილი, მუშათა რიცხვი აღემატებოდა 11.168 კაცს. წარმოების ღირებულება შეადგენდა 4.393.253 მანათს. ენისეის გუბერნია მრეწველობით ტომსკისაზე ჩამორჩენილია; ეს მომეტებულათ იმითი აიხსნება, რომ მისავალ-მოსავალი გზები არ უვარგოდა [1]) და ნაკლებათაც არის დასახლებული. აქ ითვლება 485 ქარხანა, მაგრამ ბევრ ამათგანს აქვს ხასიათი შინაური წარმოებისა; წარმოების ღირებულება უდრის 215.8131 მანათს. საზოგადოთ ამ გუბერნიაზე უნდა ითქვას, რომ წარმოებით, თუმცა დაბლა დგას ახლა, მაგრამ მომავალში ერთი უდიდესი ალაგი ეჭირება: აქ არის ოქროს მადნები, რომელშიაც ჯერ-ჯერობით მუშაობს 10.564 კაცი. ერთ სახსარს ცხოვრებისას აქაურებისთვის შეადგენს ბეწვეულობით ვაჭრობა და ხვნა თესვა. ირკუტსკის გუბ. თუმცა მოშორებულია რუსეთის ყველა სამრეწველო ცენტრებს, მაგრამ, ამისდა მიუხედავათ, მრეწველობაში სხვა გუბერნიებს ბევრათ არ ჩამოუვარდება: რაოდენობა ფაბრიკებისა და ზავოდებისა აღემატებოდა 135-ს, წარმოების ღირებულება 281,0439 მან.; უმთავრესი სალსარი ცხოვრებისა ამ გუბერნიაში არის საქონლის მოშენება და მრეწველობა; მთელ გუბერნიაში ითვლება 264,856 ცხენი, 335,549 სხვილ-ფეხი საქონელი. 365,379 ცხვარი, 85,862 ღორი, 773 ირემი, 48045 თხა. შემდეგი გუბერნია ირკუტსკისა ყველაფერში ჩამორჩენილია. უმეტესობა აქ მისდევს ნადირობას გარეულ ცხოველებზე: ვაჭრობს ბეწვეულობით და აგრეთვე შინაური საქონლით. ერთი სიტყვით, რაც უფრო ვშორდებით შუაგულ ციმბირს და ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ გადავდივართ, მით უმეტეს ეტყობა უკან ჩამორჩენა. მაგრამ მომავალში ესეც, რასაკვირველია, შეიცვლება ისევე, როგორც დასავლეთი და შუა ციმბირის მხარეები. მით უმეტეს ეს მალე განხორციელდება, რომ უმთავრესი ლიანდაგის გათავებისათანავე დაიწყება ირკუტსკისკენ შტოს გაყვანა.

ქ. ტომსკი ი. ზ—მე

---

[1]) ეს მომატება მომხდარა ერთი წლის განმავლობაში 1896 წ. შედარებით 1895 წელთან.

[1]) ამ წლიდან უკვე დაიწყო რკინის გზამ მიმოსვლა კრასნოიარკზე, რაც შესამჩნევათ იმოქმედებს მის ეკონ. განვითარებაზე.

შეცდომის გასწორება.

წარსულ „კვალის“ 31 №-ში ახალ ამბების ბოლოს გვერდი 517 ზემოდან მეორე სტრიქონში დაბეჭდილია: ამორჩეულთა ცენზი — უნდა იყოს: ამომრჩეველთა ცენზი. იმავე სტრიქონში დაბეჭდილია: ორ მანეთიანი მესაკუთრე — უნდა იყოს: ას მანეთიანი მესაკუთრე.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.